

რედაქცია: სოლოლოკზე, სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში. № 8.

ქანტორა რედაქციისა: სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება ქანტორაში, მარჯვ მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакціи газ. „Дროага“.

გაზეთის ფასი: თვეში — 8 მან., ნახევარ წლისა — 4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის — 3 მან.

ყოველ დღე ორგაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაშხათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებში. ფასი განცხადებისათვის: გბთ ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით — 2 კაპ., სტრიქონზე — 8 კაპ., ჩვეულებრივის ციკროთი — 5 კაპ., პატარათი — 4 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდებელი გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

1 ნომერიდან ფლის დამღებამდინ

„დროება“

ღირს ო რ მანეთად

ხელის-მოწერა შეიძლება თფილისში: რედაქციაში, სერგიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ქალაქს გარეშე პირთა ამ აღჩესისთ უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Типографіи. Въ редакціи газетъ „Дროага“.

განცხადება

მიხაილოვის რკინის გზის სასწავლო მსახურებელთა რჩევა ამითაცხადებს, რომ ამ ნომერის 12-დგანი ვიდეა 20-მდინ მუდამ დღე დღის 10 საათიდან ნაშუადღვის 2 საათამდინ სასწავლო მსახურებელთა (კუპიაში, ვორონეჟის ფლის-პირა ქუჩაზე) იქნება მისაღები მგზავნები იმ შვაწვილებისათვის, რომელნიც წამოიხვეწიან უკოლაში შესვლას გ. ი. ს. უკრამდინ.

ფულს განიხნება მხოლოდ პირები (მოსამგზავლები) კლასი.

სასწავლო მსახურებელთა მიიღებინან შვაწვილები რუსის მმართველობის შვაწვლა ფონდებისა (აზნაური, გლუხი და სხვ.)

მოსამგზავლებს კლასში შესვლის მსურველი უნდა იქონოს არა-ნაკლებ 11 (თერთმეტის) წლისა და არა-მრავალწლო 17 (შვიდმეტის) წლისა. შვაწვილება უნდა იტოვდეს: სამღვთო წერილიდან — უმთავრესი ლოცვები, რუსულის მნიდან — თავისუფლად წერა-კითხვა, არითმეტიკიდან — პირველი ოთხი მოკვება.

კანსიონარებს სასწავლო მსახურებელი ჯერ არ მიიღება.

ფასი სწავლისათვის წელიწადში ერთი თუმანია.

თხოვნა, მიღების თარიღად, უბრალო ქაღალდზე უნდა იქონოს

დაწერილი სასწავლო მსახურებელთა სახელზე, რომელიც თვით ამ უკოლის სახელზე დას; ამ თხოვნასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შვაწვილის მთავრის მოწერილი.

მოკლე ხანში შვაწვილებს მიეცებათ ღონის-ქიზა საღილი თვითონ სასწავლო მსახურებელთა სახელზე იაფ ფასად. (3-2)

საქართველო

შენიშვნა საჭირო საქმეებზე

ამ ქვეყანაში იმყოფება ათონის (მთაწმინდის) ქართველთა მონასტრის მონაწილე ბერი მამა ბენედიქტე. ამას აქვს მინდობილი ათონის მთაზე მყოფ ქართველ ბერებისაგან ვეტილია, რომ აქ უმთავრეს მმართველობის წინაშე და საზოგადოებასთან იშუაშაველოს ქართველების მონასტრის შესახებ.

ძველი ივერიის მონასტერი დაფუძნებულია თითქმის ათასი წლის წინათ ქართველ მეფეებისაგან და ქართველ წმინდა მამა სთარგმნელთაგან; დღესაც საქართველოს მამულების შესავლით არსებობს; მაგრამ ბერძენ ბერების ხელშია თვით მონასტერიც, იმასთან ფრიად ძვირფასი წიგნთ-საცავი (ბიბლიოთეკა) მრავალის ძვირფასი ქართულის წიგნებით, და აგრეთვე იმ ბერძენ ბერების ხელშია მართლ-მანეთის, იმერეთის და სამეგრელოს სამონასტრო მამულების შემოსავალიცა.

ბერძენები ამ დღე-მონასტერში ქართველ ბერებს არც კი უშვებენ.

ამის გამო იქვე ახლოს ქართველთა იკაუშა ბერებმა, თავისი მამა-პაპის მამულისაგან პატარა ადგილი იყიდეს ბერძენ ბერებისაგან და ძველი იონანე ღვთის-მეტყველის მონასტრის ნამგერვეებზე ახალი მონასტერი ააშენეს.

ამ ქვეყანაში ოც-და-ხუთი ბერ-მონაწილე იმყოფება ამ მონასტერში. ეს ბერები იქ შეკრებილან ძველი მონასტრის ივერიის მონასტერში შესასვლელად, რადგანაც ანდრეძი არის ძველ პირველ დამფუძნებელ მამათაგან მუთუმი და ბიორგისაგან, რომ ივერიის მონასტრის და წიგნთ-საცავის მფლობელი და შემწახველი ქართველი იყვნენო. მაგრამ ბერებს უფიქრიათ: ეხლა ბერძენის

მძლავრობის გამო თუ თვით ივერიის მონასტერში ყოფნა ვერ მოვახერხებთ, მაინც იმ მონასტრის ახლოს დავდგეთო, რომ ჩვენი კუთვნილი როდესმე უკან დავიბრუნდეთო.

ახლა, ბერლინის ტრაქტატის ძალით, ყოველ ხალხს, ვისაც მონასტერი აქვს ათონის მთაზე, სიძარტლე უნდა მიეცეს. წარსული გარემოების ძალით და ახლანდელი მერობის სახელმწიფოებისა გადაწყვეტილებით, ქართველ ბერებსაც ათონის მთაზე ამ ქვეყანაში უფრო დიდი გზა ეხსნებათ. ამის გამო, როგორც შევიტყუეთ, მამა ბენედიქტეს მის იმპერატორებით უმაღლესობისათვის არზა მიუერთმეცია, რომ რუსეთის მმართველობამ დაიცვას ქართველების უფლება ივერიის მონასტერზე, დაუბრუნდეს ქართველებს ის მონასტერი და იმისი შემოსავალი.

ამის სისრულეში მოყვანა, რასაკვირველია, დროს მოითხოვს. ამის გათვებად მისი კი დიდს შეწყუბებაში იქნებიან ბერები. ამისთვის მამა ბენედიქტეს უთხოვნიან უმაღლესს მთავრობისათვის, რომ სრულიად გათავებამდე, შემოსავლის ნაწილი ათონის მონასტრისა ქართველ ბერებსა ეძლეოდეთ.

სასურველია, რომ ჩვენმა საზოგადოებამაც შემწეობა და თანაგრძობა აღმოუჩინოს მამა ბენედიქტეს ამ საქმეში, რომელიც საქართველოს წასულ ისტორიას და განათლებას დიდათ შეეხება.

დღიური

* * * „მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამა ოდესიდან მიღებული:

„აქ მოვიდა აზნაურ, რომ 31 დეკემბრისთვის სოხუმის მახლობლად დაღუპულა ზღვაში რუსის საზოგადოების ხომალდი „მოროზი“, რომელსაც მოჰქონდა არტილერიის სხვა-და-სხვა მასალები და რომელიც მოათრევდა (ბუქსირით) გემს „ჩახჩევა“.

ზღვის დღეებისაგან ხომალდი „მოროზი“ შუაზე გადამტყვევულა და ყველანი, ვინც კი იმაში მსხდრა, დაღუპულან, გარდა ერთი აფიცრისა და მატროსისა.

„იმავე დღეს შოთის მახლობლად ზღვამ გამოაგდო ნაპირზედ იალქნიანი ხომალდი „ნიკოლარ“, რომელიც ფქვილით იყო სავსე; ამაზედაც სამი კაცი

დაიღუპა. * * * * * მს უკანასკნელი ხომალდი, უეჭველია, ის ხომალდი უნდა იყოს, რომელზედაც ამ დღეებში ჩვენი გაზეთები გვაცნობებდნენ და რომელსაც თფილისელი მორიჯარადრის თაიროვის ფქვილი მოჰქონდა ქ. როსტოვიდამ.

* * * * * ჩვენ შევიტყუეთ რომ ამ დღეებში თი ტუსალი გაქცევიათ ყარაულებს მუხრანთან ხიდთან, ძასუმოვის პარომათ და რადგან ვერ დაუჭერიათ, თოფი უსროლიათ, დაუჭრიათ და როცა დაცემულა, მხოლოდ მაშინ უტაცნიათ ხელი.

* * * * * ამ კვირას, ნემენცების კლუბის ზალაში ექნება სომხური წარმოდგენა უფ. ამერიკიანცის სასარგებლოდ, რომელშიაც სხვათა შორის, უფ. პ. შიკაშვილიც მიიღებს მონაწილეობას, სცენებს წაიკითხავს.

* * * * * მოგვხსენებთ, რომ ჩვენს ეკლესიებში უკვე დაამტკიცეს და შემოიღეს გურული ვალობა. ამ ვალობლებს, როგორც ვეითხრეს, დაუწყიათ ახლა თავის ვალობის სწავლება, რამდენიმე უმაწვილი დაიარება ამათთან სასწავლებლათაო.

* * * * * ამ ოთხშაბათს, 8 ნოემბერს, აკურთხეს ჩვენს ქალაქში მიხაილოვის რკინის გზის სასწავლებელი, რომელიც ახლად იხსნება შოთი-თფილისის რკინის გზის გამგეობისა და ქვეყანის ტენიკურ საზოგადოების ხარჯითა და მეცადინეობით.

* * * * * ზაზეთი „ძაქაზი“ გვაცნობებს, რომ ნამესტნიკის რჩევას უარი უთქვამს ამერიკის კამპანიისათვის (ბოდისკო და ტვიდლი), რომელნიც ბაქოდამ შოთამდინ ნათის გასაყვან მიღების გამართვას აპირებდნენ და რომელნიც ამისათვის ბევრ სხვა-და-სხვა უპირატესობას თხოულობდნენ მთავრობისაგან. ნამესტნიკის რჩევას ამ წინადადებაზე უარი უმთავრესად იმ მიზეზის გამო უთქვამს, რომ მალე ბაქომდინ რკინის გზა უნდა გაიყვანონ და ამ ნათის გასაყვანი მიღებებს გამმართვისგან, უეჭველია, ამ რკინის გზას დიდი ზარალი მიეცემაო.

* * * * * ჩვენ ვაღმოვებქდეთ ამას წინათ გაზეთის „მბზორიდა“, რომ იმ ბოროტ-მოქმედების გამო, რომელიც აღმოჩნდა პირველს ბურულ ქვევითა დრუჟინაში, გამოძიება არის დანიშნულიო. მს გაზეთი ამბობს ახლა, რომ ჩვენ შევცდითო: გამოძიება პირველის კი არა, მესამე დრუჟინის თაობაზედ არის დანიშნულიო.

* * * * * ჩვენ მივიღეთ შემდეგი ანგარიში გაზეთში დასაბეჭდათ: 27 ოქტომბერს ნემენცების კლუბში ქართულ წარმოდგენაზე შეგროვდა 407 მანეთი; აქედამ დაიხარჯა:

მუზიკაზე 34 მ.
 ზალაზე 50 —
 კრესლოებზე და სკამებზე . . . 25 —

ქართულ და ფრანკო-სულ კოსტიუმებზე 38 —
 პარიკმახერზე 8 —
 წერილმანი ხარჯი—აფიშების და ბილეთების დაბეჭდვაზე, დეკორაციებზე, მოსამსახურებზე . . 52 —

სულ 207 მ.

დნარჩენი 200 მ., დანიშნული ღარიბ ქართველ სტუდენტებისათვის, სანამ შეტანილია ბანკში.

გამგებელი იოს. ზაქ. ანდრონიკაშვილი.

„დროშის“ კორესპონდენცია

საინგილო, 3 ნოემბერს. 28 წელიწადია მას აქეთ, რაც საინგილოში ხელმეორედ შამოვიდა ქრისტიანობა, რომელიც ქ. ზილბაშებმა, ლეკებმა და სხ. ბევრის მეცადინეობის შედეგ მოსპვს მთელს ამ მხარეში და მაგიერათ მაჰმადის რჯული და სწავლა შემოიღეს.

ამ სამწუხარო დროს, როცა უნებლიეთ მთელმა ბარეთ-მხარმა დაკარგა თავისი მამა-პაპის რჯული, როცა განეშორა თავის ძმებს-კახელებს,—ამ დროს აქ კიდე მოიპოვებდნენ იმისთანა კაცები და ჯალაბები, რომ გულში ჩუმათ მაინც ქრისტიანობდნენ და ჩუმ-ჩუმათ დედამის და ეკლესიის გადმონაცემებს წმინდათ ინახავდნენ. ამისთანა ჯალაბებში გამოიზარდნენ იგინი, რომელნიც 1850 წელს ჩავიდნენ თფილისში და მოინათლნენ. მს კაცები იყვნენ: ი. ბულულაშვილი, ა. ღარჯანაშვილი, პ. ბულულაშვილი და სუთიც სხვანი. მს კაცები თფილისში მთავრობამ მიიღო დიდი პატივით და სიხარულით, რადგან იგინი ჰპირდებოდნენ მთელის ბარეთ-მხარის მონათვლას. მთავრობა დაჰპირდა მათ, თუ ხალხი მონათლეთო, თქვენს ღვაწლს არ დაგიფიცებთო და სხ. დიდის სიხარულით გაემგზავრნენ ეს კაცები საინგილოსკენ.

საინგილოში თავის ქადაგებებით მრავალი ხალხი მიიზიდეს. მს რომ დაინახეს, 70 კაცი ჩამოიყვანეს თფილისში, მონათლეს და ღვდლებით და დიაკვნებით წავიდნენ საინგილოშივე.

მონათლეს ძანში და სხვა სოფლებში მრავალი ვალეკებული ქართველი. ამავე დროს აღაშენეს სოფ. ძანში, ალი-ბეგლოში, მორაღანში და თასმალოში საყდრები. პირველათ ძანის ეკლესიამ გააგებინა იქაურობას მოლოლის ყოყინის (აზანი) მაგიერათ ზარის რეკა; პირველათ იმან გააღვიდა დაჩლუნგებულ ინგილოს გულში სიყვარული, ჩაუშვა ინგილოს სხეულში ის სხივი, რომელმაც აცნო მუსულმან ინგილოს, რომ იგი არის ქრისტიანი, ქართველი.

მს ხომ ასე. ამ რვა კაცმა აღასრულა მთავრობის სურვილი. მაგრამ, სამწუხაროთ მთავრობის მხრით ესენი დაუჯილდოებულნი დარჩნენ. როცა მოაქრისტიანეს აქაურობა, მთავრობამ თურმე დაიბარა ხსენებული გვამები თფილისში, რომ დაესაჩუქრებინა. მაგრამ იგინი ვერ ჩამოვიდნენ, რადგან იმ დროს დიდი

ყაჩაღობა და არეულობა იყო როგორც საინგილოში, იგრცე ალი-ბეგს ნაპირებზე. სადა ჰქონდათ ამ პირებს დრო, რომ ჩამოსულიყვნენ თფილისში? მერითას უნდებოდნენ, რომ როგორმე დაეცვათ თავისი ცალშვილი გაზეთადებულის ფანტიკოსებისაგან, რომელნიც ყველაზე უმეტესად ამათ ემუქრებოდნენ როგორც ქრისტიანობის შემოღების მიზეზებს.

მაგრამ ერთმა ამ რვა კაცის რაცხვიდამ არ დახედა შიშინაობას და გამოიპარა თფილისში. მს იყო ი. ბულულაშვილი, რომელიც მთავრობამ დააჩუქრა და გაისტუმრა საინგილოსკენ. დნარჩენები კი ამის შემდეგ დაიწყებულნი გახდნენ. მე მგონია, მთავრობა კარგს იზამდა, რომ მოეწვია ის კაცები და შეეტყო მითი მდგომარეობა და შეებრალეებინა; მეტათ მისთვის რომ ცოცხალნილა არიან საპი კაცი, ესენიც ყველასაგან დაიწყებულნი მაშინ, როდისაც საინგილო ჰაჰაროებს იმისთანა კაცებში, რომელთაც შეეძლოსთ მოქრისტიანება იმ ქართველებისა (10-12 ათასამდე), რომელნიც ეხლაც მაჰმადის სჯულზე არიან.

ამ ქართველების გაქრისტიანება ჩვენი ქართველებისათვის, ძვირად ღირს, რადგან რაც დრო გადის, იმდენათ მათ ძვალ-რბილში ერევა არა-ქართველური ელემენტები და იმდენათ ძნელი იქმნება მათი ჭეშმარიტ გზაზე დაყენება; ახლაკი ყველა ეს ქართველები წმინდა ქართულს ენაზე ლაპარაკობენ.

ბარდა ამისა ყველა ეს ქართველები მოსპობილნი არიან ძვირფასს საუნჯეს—სწავლას. საქართველოს თითქმის ყოველ სოფელში ზოგში გახსნილა და ზოგში იხსნება შკოლა—აქ კი ფანტიკოსების მეცადინეობით, სწავლის ერთ სხივსაც ჯერ არ შეუხედნია და ასრცე იქნება დიდხანს, თუ მთავრობამ ყურადღება არ მიაქცია ამ სამწუხარო მოვლენას.

მ. ჯანაშვილი

უსხო ქვეყნები

ოსმალეთი

არზრუმშიდამ იწერებინ სტამბოლის გაზეთებში, რომ აქ დაიჭირესო ორი გამოჩენილი ავაზაკი — მუსტაფა-ჩინი-ოგლიანი და მსმან-ჯებრაელი, რომელნიც მუშისა და არზრუმის ახლო-მანლო ხალხს სცარცვავდნენო. მსენი ახლად დადგენილ არზრუმის სასამართლომ უნდა გაასამართლოსო.

— არზრუმშიდამეც მისულა სტამბოლოში ამბავი, რომ მუშის სომხები ძალიან შევიწროებულნი არიან ქურთებისაგან; ღვინობისთვის 15-ს, სხვათა შორის, რამდენიმე ქურთი დასხმია თავს ერთს ქარავანს და ორასი ათასი ყურღუშის საქონელი მოუტაცნიათ პატრონებისათვის.

— ზაზეთს „ბოლოსში“ დაბეჭდილია შემდეგი დებეშები: ჩვენი (რუსის) ჯარები ამარებენ

დღრიანობას. სამხედრო მთავრობის განკარგულებით ჯარებისათვის ღონისძიებებს ამზადებენ და საზამთრო ყაზარმებს.

„მღესილამ ხელ-ახლად გაიგზავნა მარნაში და ბურგასში—22,080 რუსის ჯარი და 2,360 ცხენი იმ ჯარების შესახებგლად, რომელნიც სამხრეთ ბოლგარიაში არიან დაყენებულნი. ამ მოკლე ხანში კიდევ ახალ ჯარებსა და სამხედრო მასალებს მოელოან აქ რუსეთილამ.“

— ნემეცურს გაზეთს „პრესსში“ იწერებინან ჩილიპოპოლიდამ:

„ამ დღეებში აქ გამოიარა ბოლგარიის დროებით მმართველმა თ. ღონდუკოვ-პორსაკოვმა, რომელიც ლივლიაში მიდის ხელმწიფე იმპერატორთან. ღიდის აღტაცებითა და პატივის ცემით მიეგება იმას ყველგან ხალხი და სხვადა-სხვა მხრიდან გამოგზავნილი დეპუტაციები. შევლა ეს ხალხი და დეპუტაციები სთხოვდნენ თ. ღონდუკოვ-პორსაკოვს, მოახსენეთ ჩვენგან რუსეთის ღიდ ხელმწიფესაო, რომ ჩვენ მსმალოს უღლის ქვეშ გაძლება აღარ შეგვიძლიაო, ჩვენ უნდა შეუერთდეთ ჩვენს განთავისუფლებულ მოძმეებსაო.“

31 ღვინობისთვის ყოფილა სტამბოლში მინისტრების კრება, რომელზედაც ის თხოულობდა, რომ სამხედროების შესახებწორებულად მსმალეთის მთავრობამ კამისია გამოგზავნოსო. ამბობენ, მინისტრები დათანხმებულან საბერძნეთის მოთხოვნებზედ და თავის გარდაწყვეტილება ხონტქრისათვის წარუდგენიათ ხელის მოსწერათ.

— სტამბოლიდამ მიღებული დეპეშა გვაცნობებს, რომ მუდამ დღე მოდიან ისევ ბურგასში რუსის ჯარებო.

— მითხად-ფაშა სირიის ღუმბერნატორად დაუნიშნავთ.

საბერძნეთი

ღონდონის გაზეთს „ღელი ტელეგრაფში“ დაბეჭდილია სტამბოლიდამ მიღებული დეპეშა, რომელიც გვაცნობებს, რომ მსმალეთის მთავრობა დათანხმდა საბერძნეთის სამხედროების შესწორებაზედ და აცნობა საბერძნეთის მაროლს, რომ ამ საგნისათვის დანიშნოს თავის მხრით კამისიის წევრები.

მსპანიი

ტელეგრამამ გვაცნობა ამას წინათ, რომ ერთმა ღილაც მუშამ რევოლუციური ესროლა მსპანიის კოროლს ალოფანს იმ განზრახვით, რომ მოეკლა. ეს მუშა, სახელად მონკასი, როგორც მოგვხსენებათ, იმ წამსვე დაიჭირეს. რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია ახლა მადრილიდამ მიღებული დეპეშა, რომლიდამაც ვტყობულობთ, რომ სასამართლოს სიკვდილით დასჯა გარდაუწყვეტია ამ მუკასისათვის.

ბოლგარია

ბერლინელი კორრესპონდენტი გაზეთის „ტაიმსისა“ ამბობს:

„მოგხსენებთ, რომ ერთი უმთავრე-

სიკანდილატი განთავისუფლებული ბოლგარიის ტახტისა არის გრაფი იგნატიევი მაგრამ ამბობენ, რომ ის უარს ამბობს ამ კანდილატობაზედაო. იუ ეს გამართლდა, მაშინ, ისმის, ახალი ბოლგარიის ტახტს თ. ღონდუკოვ-პორსაკოვს შეაძლევენ, რომელიც დროებითი გამგებელია ბოლგარიისა და რომელიც ასე ცდილობს განთავისუფლებული და მსმალეთის ბოლგარიების შეერთებას.“

საბაასო

უფ. ი. ს. ჟიმიოვსკის

ამ წლის „მზზორის“ მე-227, 240 იყო დაბეჭდილი ჩემგან გაგზავნილი მოწინავე სტატიები შესახებ მუთაისის გუბერნიის და განსაკუთრებით შორაპნის უფზის სახალხო შკოლებისა. ამ სტატიებში გამოთქმული ჰაზრი მრავალჯერ გამოთქმულა გაზეთს „ღროებაში“ ჩემგანვე გაგზავნილს კორრესპონდენციებში; მაგრამ არავის პასუხი არ გაუცია ერთი მისთვის, რომ საპასუხო მათ, ვისაც შეეხებოდა ეს სტატიები, არაფერი ჰქონდათ და მეორე ალბათ იმიტომ, რომ საშიშო პირები არ კითხულობენ „ღროებასაო“.

მაგრამ როდესაც რუსულ გაზეთში დაიბეჭდნენ, შეინძრენ ზოგიერთი ვაჟბატონები და პასუხი გასცეს. მაგრამ იმათ კი არა, ვისიც პირ-და-პირ რიგი იყო, არამედ ისეთებმა, რომელთაც მაგდენად არ შეეხებოდათ.

ერთი ამისთანა პასუხი ჩვენი სტატიების შესახებ შკოლების თაობაზე ჩვენ წაეკითხეთ „მზზორის“ მე-264, რომელიც არის გამოგზავნილი უ. მუვი-მოვსკისაგან.

ვისაც წაუკითხავს ჩვენი სტატიები ან „ღრებაში“ და ან „მზზორში“ და მასთან უ. მუვიმოვსკის პასუხი, რასაკვირველია, მისთვის არ არის საჭრო აუხსნათ ჩვენი ნათქვამის სიმართლე და უ. მუვიმოვსკის პასუხის უსაფუძვლოში; მაგრამ უფ. მუვიმოვსკის წერილში ისეთი საზიზლარი დაბეჭდებითი ჰაზრებია, ცილის-წამება და მრუდე მსჯელობა, რომ უპასუხოთ მისი წერილის გაშვება არას გზით არ შეგვიძლია და გთხოვთ, უფ. რედაქტორო, ადვილი მისცეთ ამ ჩემ პასუხს თქვენს „ღროებაში“.

„რაც იწერებოდა იუილისის გაზეთებში, თუ მე ხმას არ ვსცემდი, ეს მიტომ კი არაო, ამბობს უ. მუვიმოვსკი, რომ ყველა დაწერილს ჰაზრებს ვეთანხმებოდიო. არა! სუყველა ამბები შორაპნიდამ მიღებული ტყუილი იყენენ. ჩვენ ვმინჯეთ ბაასობით თავის გამართლება, მაგრამ დავრწმუნდით, რომ ძნელია. (ამას კი მართალს ამბობს, მე და ჩემი ღმერთმა.) იქვე მოგვარდებიან ცოფიან ძაღლებივით, კითხვაზედ პასუხს არ მოგცემენ. ერთში არ გაგიმართლებიათ თავი და მეორე საქმით გაგსერიან. ამისთვის ჩვენ ვაჯობდინეთ ზიზლით უყურებდეთ მათ და ჩუმათ ვიყოთ. რასაც იწერებიან

შორაპნიდამ ყველა ტყუილი შევლესეები იწერება მტერობისა გამო ატორისა, რადგან უ. ტ—მ აღმართინა ერთისმეს ცუდი საქმეები შორაპნის შკოლის დაკეტის თაობაზე. ამისგან გამოჯავრებული ატორი აღარც მე მზოგავს და აღარც ტ—ეს.“ (იხილეთ „მზზორი“, № 264 მესამე გვერდზე მეოთხე სვეტი ბოლოდამ 4—40 სტრიქ.)

ეს მოსაზრება სრულებით ცრუ არის და ყოვლად უსაფუძვლო. უ. მუვიმოვსკი აქ არის ათ წელზე მეტი და ჩვენ არასოდეს არ გვასოგეს, რომ მას პასუხი გაეცეს ვისმესთვის. ერთხელ, ვგონებ წარსულ წელში, გასცა პასუხი „ღროებას“ გაზეთს „ძავკაში“, მაგრამ მალე დარწმუნდა, როგორც თვითონ გამოტყდა ესო, რომ ბაასობით თავის გამართლება ვგრე ადვილი არ არის და მას უკან მართლა ვინც რა უწესოება უნდა დასწეროს, ზიზლით, სრუმიოთ უყურებს, როგორც თვითონ ამბობს. ჩამდენი უწესოება გამოთქვა, მაგრამ არც ერთისთვის პასუხი არ უკია. იუ მისი მოყვანილი ზემოთქმული სიტყვები აშკარა ტყუილი და სიტყუე არ არიან, გამოაცხადოს—ვინ დაუშალა მას პასუხის გაცემა, რომელ კითხვაზე არ გასცეს პასუხი და არ მიუგეს მას? მინ ვარდება მას ცოფიან ძაღლივით. ანუ ვინ და როდეს და სახელდობრ რომელ გაზეთში, რომელი წლისა და რომელ ნომერში მოუგონეს მას ტყუილი და ცრუ-ამბებით გასვარეს იგი? პასუხს ველით, მაგრამ უთუოდ უნდა დაასახელოს გაზეთი, წელი, ნომერი და სტრიქონი და მერე ჩვენ აუხსნით, მართალია თუ არა... მანამდის ჩვენ არ ვაძლეეთ მის სიტყვებს არავითარ მნიშვნელობას...

მე ვამბობდი ჩემ სტატიებში, რომ, ცუდათ შედგენილი პროგრამისა და მასწავლებლების მოუშვადებლობის და უცოდინარობის წყალობით, ჩვენი შკოლების საქმე უკან-უკან წაიღა-მეთქი. ხალხს წინეთ და დღესაც ღიდი სურვილი აქვს სწავლისა და არაფერს დაზოგავს სასწავლებლისათვის, მაგრამ სამი წლის შემდეგ ჩვენ შკოლებზე დაკარგა ყოველი სასოება-მეთქი. ბავშები წაიღენ და ბევრი შკოლები დაიკეტა და ზოგან ოთხი-ხუთის მეტი შაგირდი აღარ არის-მეთქი, თუმცა ოფიციალურ ანგარიშებში და ქალღებზე კი კარგად მიდის სწავლა.

ნამდვილ მიზეზებს, რომლის წყალობითაც მოდის ეს უბედურება, დამნაშავე პირები ხელს აფარებენ დაპყრიან სხვადა-სხვა სასაცილო და უსაფუძვლო ხმებს, ვითომც ამისთანა სამწუხარო მოვლენა წარმოსდგებოდეს მათგან. მადლობა ღმერთს, რომ ყველა ჩვენი გამოთქმული ჰაზრი უ. მუვიმოვსკიმ დაამტკიცა. აი რა მიზეზები მოიყვანა მან შკოლების საქმის ცუდად წაყვანისა:

ხალხის განათლების საქმე კარგად წავიღოდა, მაგრამ მე მიშლიან ხელს კორრესპონდენტები, რომელნიც მეც დამცინიან და სწავლის საქმესაც მასხარათ იგდებენ; მბრკოლებენ აზნაურები და



ვაჭრები, რომელთაც ხალხის გაუნათლებლობა სარგებლობას მოუტანსო; სწავლა და განათლება მათ ევაკუა, რადგან ველარ ისარგებლებენო გლეხის უფუნტურებოთო (მეთექვსმეტე ტომის კანონებით?) ვინ აზიღინებს ნეტავი შეშას გლეხებსა?). (იხილე „მზობრი“, № 264, მესამე გვერდზე, 1-50 სტრიქონები).

მა ჰაზრებიც ისეთი ფუჭი და უსაფუძვლო არის, როგორც ხეშოთ მოყვანილი აზრები. ეს ჰაზრები არაფერს არ შეადგენენ საზოგადოებრივი ბუნების ცილის-წამების და ინსინუაციის მეტს. თუ ჩვენ მართალს არ ვამბობთ, ვითხრას უ. მთიმოვსკიმ:—რით, როდეს და რომელმა კორრესპონდენტმა, აზნაურის შეილმა და ვაქარმა მოუშალა მას ხელი და დააბრკოლა შკოლის საქმე? არიან თუ არა ჩვენში ის საძაგელი ვაჭრები, რომელზედაც გახეტებში იწერებიან? ნუ თუ სასიტხო არ არის ამისთანა ბუნებობა, ცილის-წამება და სიტყვის მოგონება საწყალი აზნაურის შეილებზე, კორრესპონდენტებზე და ვაჭრებზე, რომელნიც სრულებით დამნაშავე არ არიან ჩვენი შკოლების უკულმა წასვლაში?.

(დასასრული შემდეგ №-ში)

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

სტამბოლი, 6 ნოემბერს. შარათეოდორი-ფაშა დანიშნულია ძანდის ლუბერნატორად.

ხონთქარმა მიანდო მითხად-ფაშას ინგლისის რეფორმების შემოღება სირიაში.

რომი, 6 ნოემბერს. აღმოჩნდა, რომ ის კაცი, რომელმანც იტალიის კარ-

ლის მოკვლა განიზრახა, ინტერნაციონალურ საზოგადოებას ეკუთვნის.

კატარბურლის ბირჟა, 8 ნოემბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის —	97—12
მეორესი — — — —	95—62
მესამესი — — — —	95—50
მეოთხესი — — — —	95—50
აღმოსავლეთის — — — —	92—50
მკრო, 1/2 იმპერიალი —	8—37
თფილ. თავად-აზნ. ბანკის	
გირაოს ფურცელი — — — —	„ „ „
შინაგანი 5% სესხის ბილეთები:	მან. ძაპ.
პირველი სესხის — — — —	237—55
მეორე სესხის — — — —	229 — „
1 მანეთი ღირს:	
ლონდონი — — — —	23—50 პენსი
ამსტერდამი — — — —	119 — „ ცენტი
პერლინი — — — —	200—75 ჰენიგი
პარიჯი — — — —	246 — „ სანტიმი
ძაქასიის კერასინი — — — —	„ „

განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება თფილისში, მხოლოდ ზაქარია ბრიჭუროვის ძაქაზის საწიგნო მალაზიაში, ახალი წიგნი, ლიტოგრაფის ყდითა (სურათითა):

„სახალსო მუჯლისი“

სხვა და სხვა ახალი სიმღერები

თქმული

გიორგი ი. სპანდარ-ნოვისაგან.

შასი 30 კაპეიკი,

მხოლოდ ნარდათ მყიდველთათვის შეიძლება ფასის დაკლება.—იქვე ისყიდება აგრეთვე „ანბანი“ ი. ბოგებაშვილისა. შასი 10 კაპ.

თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებას შექმნილ-ბელ მოსწავლეთა მდგომარეობის შესახებ იმისი შკოლისათვის სახლს

10—12 ოთახს დიდის ეზოთი ან ბლით. შისაც ჰსურს ამ გვარის სახლის გაქირავება, უნდა მიჰმართოს „საზოგადოების“ სეკრეტარს, ნ. დ. ძანანოვს, სოლოლაკში, ძონსულის ქუჩაზე, № 4. (3—3)

თფილისის ვაჭარი ივანე ნიკოლოზოვი უცხადებს თფილისის და სხვა ქალაქების პატიოსან საზოგადოებას, რომ გვიყიდნია შეროპიის ქალაქებიდან 200 ცალი საკერავი მაშინები, ასე იგი: დიდრონი წაღების საკერავი მაშინები, ბალკონიანი პარტოის ბელაშვილის, რუჩოისა—ორი ძაფიანი, ერთი ძაფიანი; სისტემა ტექტონისა, მანსტელისა, მილლერ, მილსონის, ზინგერის, მედიუმის, პოლოაკ შმიტისა, ლურჯი პარიოლი, სიმსონის.

ხელის მაშინები, სისტემა: ბრუნონია, ბერმანია, რენანია, ჭორტუნა, ზანგერი, ს.ქსონია და ლიტერეანცერი, შატულა, სამსინია, მკსპრეს-ორიგინალძ პრინცესა და მილლერ მილსონის კაკლის ყუთიანი.

ისყიდება ძალიან იაფათ და პირობათ იძლევა, ვიდრე სამის წლის ვადითა.

მასწავლით კერვას და მაშინების მოხმარებას მალაზიაში უფულოთ.

მალაზია იპოვება შუაბაზარში, მასპაროვის დუქნებში.

ივანე ნიკოლოზოვი.

(3—3)

იქვე ისყიდება იმისივე

„იგავ-არაქნი“

გამოკრებილნი საბა-სულოხან მრბილიანის სიბრძნე-სიტყვილამ და გალექსილი თ. რაფ. შრისთვისაგან. შასი ორი შაური.

რპ. გზა.	ღილა.	საღაბ.	II კ.	III კ.
თფილისი . . .	9 21	5 18	3 კაპ.	მ. კაპ.
მცხეთა . . .	10 11	6 27	—	— 38
ზორი . . .	11 50	9 43	2 40	1 33
ხ. შური . . .	1 29	11 57	3 92	2 18
სურამი . . .	1 44	—	4 42	2 46
შვირილი . . .	5 49	—	5 81	3 23
რიონი . . .	6 51	—	6 75	3 75
სამტრედია . . .	7 51	—	7 73	4 29
ახალ-სენაკი . . .	8 43	—	8 57	4 76
შოთი . . .	9 50	—	9 75	5 42
შოთი . . .	9 3	—	—	—
ახალ-სენაკი . . .	10 14	—	1 18	— 66
სამტრედია . . .	11 5	—	2 6	1 14
რიონი . . .	12 13	—	3 4	1 69
შვირილი . . .	1 18	ღამე.	3 98	2 21
სურამი . . .	5 12	1 10	5 33	2 96
ხ. შური . . .	5 39	1 37	5 84	3 24
ზორი . . .	7 5	4 8	7 36	4 9
მცხეთა . . .	8 50	6 59	9 8	5 4
თფილისი . . .	9 31	7 56	9 75	5 42

ტელეგრაფი	მან. კაპ.	მაზანდა	მან. კაპ.
მკი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 9 ნოემბერს.	
ძაქასიის აქეთა მზრის ყველა		ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	1 80
ქალაქებში	50	ფვილი წითელი . . .	1 50
როსტოვი, მდესას, მოსკოვი	2	ჭერი ფუთი	1 30
პეტერბურს, შარშავას	2	ბაზა შრეისა, ფუთი . . .	6 50
მსმალეთში, შვეიც. რიაში	3	— ამერიკიკა, ფუთი . . .	7 30
იტალიაში და საფრანგეთში	3 50	ბაპენტოი შ მბა ფუთი.	10 —
ნიგლისში	3 75	მაცუი თ. შური ფუთი . . .	8 50
ფოჩტა		— თარაქამისა ფუთი . . .	4 40
ა) თფილისიდან: სამზღვარ გართ, შუთასს, რუჯსეთა—ყოველ დღე კვირას გარდა. შუღდ. ორშ. და ხუთშ. მ. შურ.—პარასკ. და ორშ. ძახეთს—სამშ. და შაბ. ბ) შუთაისიდან: თფილისისა და შოთის კენყოველ დღე, კვირას გარდა. მ. შურგეთს—ორშ. და პარასკ.		აბრეშუმი ნუბური სტ.	2 —
წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		ძონი, ფუთი	5 40
ლა წიგნია	4	ძონის საწთ ლი ფუთი	7 50
დ. ბ. ტლილის (ბამი მისს. ლი)	8	სტეარინის სწთე. ი, ფთ.	12 40
		ხორცი ძროხისა, ლიტ	— 81
		— ცხვრისა, ლიტრა	— 81
		სპირტი ვედრო	4 80
		შაქარი, ბროც. ფუთი	7 40
		— ფხვნილი ფუთი	6 20
		შავა გრგვლი, გირვ	— 70
		ხეთი ქუნჯუთისა ფუთი	12 80
		თამბაქო, ს. შულო ფთ.	6 60

„დროების“ ფოჩტა — მ—ს, რ. გ—ს. ამ გვარსტატიის ყოველთვის სახელი და გვარი უნდა ჰქონდეს მოწერილი. არც აგრე ლანძღვა-გინება შეიძლება. პასუხს მოველოთ. — თ—ს, თ—ელს. არც ამდენ. კაცებს შეიძლება თქვენბუთი სომხის მღვდლებისა! ახლაცოტა სომხის გახუთებშიაც გაკაცებეთ... — მ—ს, უ. გ—ს. ხელისმოწერა მხოლოდ რედაქციაში მიიღება. ატენებთანაც შეიძლება, მაგრამ ფული ამ თავითვე უნდა გამოიგზავნოს. — ხ—შე, უ. ზონტიკიანს. თ. გ. წ—ის ბალკონიდან გადმომჯღარ ქალთვაჭრებმა გამოანდღეს და დამცინესო, სჩივით... სასამარლოში იჩივლეთ.